№1755 2015 წლის 24 აგვისტო ქ. თბილისი

აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის (AIIB) საქმიანობის დაწყებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებთან მიმართებაში საქართველოს მხრიდან მთავარი მომლაპარაკებლისა და ალტერნატიული მომლაპარაკებლის განსაზღვრის შესახებ

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია, აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკში (AIIB) საქართველოს მხრიდან მთავარი მომლაპარაკებლისა და ალტერნატიული მომლაპარაკებლის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

2. აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის (AIIB) საქმიანობის დაწყებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებთან მიმართებით (შემდგომი გადაწყვეტილების მიმღები პირ(ებ)ის (მმართველი და ალტერნატიული მმართველი) განსაზღვრამდე), საქართველოს მხრიდან მთავარ მომლაპარაკებლად განისაზღვროს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე დავით ლეჟავა, ხოლო ალტერნატიულ მომლაპარაკებლად – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე მიხეილ ჯანელიძე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**